

საქართველოს მთავრობის

დადგენილება N

2024 წლის ქ. თბილისი

სპეციალური წესები კომპეტენტური ორგანოების მიერ ცხოველებზე, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე და გასამრავლებელ (გენეტიკურ) მასალაზე განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის შესახებ, კომპეტენტური ორგანოს მიერ განხორციელებული შემდგომი ღონისძიებები მსხვილფეხა საქონლის, ცხვრისა და თხის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან მსხვილფეხა საქონლის ქვეყანაში ტრანზიტით გავლისას გამოვლენილ შეუსაბამობაზე

მუხლი 1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „სპეციალური წესები კომპეტენტური ორგანოების მიერ ცხოველებზე, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე და გასამრავლებელ (გენეტიკურ) მასალაზე განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის შესახებ, კომპეტენტური ორგანოს მიერ განხორციელებული შემდგომი ქმედებები მსხვილფეხა საქონლის, ცხვრისა და თხის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან მსხვილფეხა საქონლის ქვეყანაში ტრანზიტით გავლისას გამოვლენილ შეუსაბამობაზე“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს202?? წლის 1 იანვრიდან, გარდა ამ დადგენილების მე-6 მუხლისა.

მუხლი 3. ამ დადგენილების მე-6 მუხლი ამოქმედდეს 202?? წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი კობახიძე

სპეციალური წესები კომპეტენტური ორგანოების მიერ ცხოველებზე, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე და გასამრავლებელ (გენეტიკურ) მასალაზე განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის შესახებ, კომპეტენტური ორგანოს მიერ განხორციელებული შემდგომი ღონისძიებები მსხვილფენა საქონლის, ცხვრისა და თხის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან მსხვილფენა საქონლის ქვეყანაში ტრანზიტით გავლისას გამოვლენილ შეუსაბამობაზე

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

1. „სპეციალური წესები კომპეტენტური ორგანოების მიერ ცხოველებზე, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე და გასამრავლებელ (გენეტიკურ) მასალაზე განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის შესახებ, კომპეტენტური ორგანოს მიერ განხორციელებული შემდგომი ღონისძიებები მსხვილფენა საქონლის, ცხვრისა და თხის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან მსხვილფენა საქონლის ქვეყანაში ტრანზიტით გავლისას გამოვლენილ შეუსაბამობაზე“ (შემდგომში -წესი) ადგენს ცხოველებთან, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებთან და გასამრავლებელ (გენეტიკურ) მასალებთან დაკავშირებით სახელმწიფო კონტროლის ზოგიერთ სპეციფიკურ წესს, რათა კომპეტენტურმა ორგანომ შეამოწმოს შესაბამისობა „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებთან და, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ სახელმწიფო კონტროლის შემდეგ განსახორციელებელ ზოგიერთ ღონისძიებას:

- ა) ზოგიერთ საწარმოში, რომელიც ინახავს ცხოველებს;
- ბ) ზოგიერთ საწარმოში, რომელიც აგროვებს, აწარმოებს, გადაამუშავებს ან ინახავს გასამრავლებელ (გენეტიკურ) მასალას.

2. ეს წესი ასევე ადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალის სსიპ - შემოსავლების სამსახურის (შემდგომში - სამსახური) მიერ განსახორციელებელ კონკრეტულ ღონისძიებებს ტრანზიტში მყოფ მსხვილფენა საქონელთან დაკავშირებით სახელმწიფო კონტროლის შემდეგ, როგორც დამატებით ღონისძიებებს „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესებით“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად.

3. ამ წესით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ახორციელებს კომპეტენტური ორგანო - სააგენტო და შემოსავლების სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

- 1. ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საწარმო - ნებისმიერი შენობა, კონსტრუქცია ან, ღია ცის ქვეშ მოწყობილი მეურნეობის შემთხვევაში, ნებისმიერი გარემო ან ადგილი, სადაც, დროებით ან მუდმივად, არიან განთავსებულნი ცხოველები ან გასამრავლებელი მასალა (გენეტიკური მასალა), გარდა:

ა.ა) ოჯახებისა, სადაც შინაური ბინადარი ცხოველები ჰყავთ;

ა.ბ) ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტები ან კლინიკები;

ბ) ინკუბატორი - საწარმო, რომელიც აგროვებს, ინახავს, ახორციელებს ინკუბაციას და ჩეკავს კვერცხებს რათა მიაწოდოს:

ბ.ა) საინკუბაციო კვერცხი;

ბ.ბ) ერთდღიანი წიწილები ან სხვა სახეობის საინკუბაციო კვერცხი;

გ) შეკრების ოპერაცია - ერთზე მეტი საწარმოდან ხმელეთის ცხოველების შეგროვება იმ სახეობის ცხოველის შესაბამისი ბინადრობისთვის საჭირო პერიოდზე ნაკლები დროის განმავლობაში;

დ) ძაღლის, კატისა და ქრცვინის შემკრები ცენტრი - საწარმო, სადაც ერთი და იგივე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე აღნიშნული ცხოველები გროვდებიან ერთზე მეტი საწარმოდან;

ე) ცხოველთა თავშესაფარი - საწარმო, სადაც განთავსებულნი არიან ყოფილი უმეტესადაც (მიუსაფარი), გარეული, დაკარგული, მიტოვებული ან ჩამორთმეული ხმელეთის ცხოველები და რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა შესაძლოა არ იყოს ცნობილი საწარმოში შეყვანის დროს;

ვ) საკონტროლო პუნქტი - ადგილი, სადაც ცხოველებს ასვენებენ არანაკლებ 12 საათი ან მეტს „ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს ცხოველთა დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს N317 დადგენილებით დამტკიცებული „ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს ცხოველთა დაცვის წესის“ I დანართის V თავის „1.5“ პუნქტის შესაბამისად;

ზ) გარემოსგან იზოლირებული მწარმოებელი საწარმო - საწარმო, სადაც მის კონსტრუქციასთან ერთად ბიოუსაფრთხოების მკაცრი ზომები უზრუნველყოფს ცხოველების წარმოების ეფექტურ იზოლაციას მასთან დაკავშირებული ობიექტებისა და გარემოსაგან;

თ) შემოფარგლული საწარმო - ნებისმიერი მუდმივი, გეოგრაფიულად შემოსაზღვრული საწარმო, რომელიც შექმნილია ნებაყოფლობითად და აღიარებულია გადაადგილების მიზნით, სადაც ცხოველები არიან: თ.ა) განთავსებულნი ან გამოყვანილნი გამოფენების, საგანმანათლებლო, სახეობების კონსერვაციის ან კვლევის მიზნებისათვის;

თ.ბ) შემოფარგლული და განცალკევებული გარემოსაგან;

თ.გ) დაქვემდებარებული ცხოველთა ჯანმრთელობის ზედამხედველობას და ბიოუსაფრთხოების ზომებს;

ი) გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის აღიარებული საწარმო - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული სპერმის შემგროვებელი ცენტრი, ემბრიონის შემგროვებელი ჯგუფი, ემბრიონის წარმოების ჯგუფი, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო ან შემნახველი ცენტრი;

კ) აღიარებული საკარანტინო საწარმო - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული საწარმო;

ლ) აღიარებული აკვაკულტურის საწარმო - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული საწარმო;

მ) აღიარებული აკვაკულტურის საწარმოთა ჯგუფი - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული საწარმოთა ჯგუფი;

ნ) საწარმოს ვეტერინარი - ვეტერინარი, რომელიც პასუხისმგებელია ხმელეთის ცხოველების საკარანტინო საწარმოში განხორციელებულ საქმიანობაზე, გარდა პრიმატებისა ან შემოფარგლულ საწარმოში;

ო) მსხვილფეხა საქონელი - ჩლიქოსნების სახეობის ცხოველი, რომელიც მიეკუთვნება Bison, Bos (მათ შორის Bos, Bibos, Novibos, Poephagus ქვეგვარებს) და Bubalus (მათ შორის Anoa ქვეგვარის) და ამ სახეობების შეჯვარებით მიღებული შთამომავლები.

მუხლი 3. სახელმწიფო კონტროლი ზოგიერთ აღიარებულ საწარმოში

1. სახელმწიფო ვეტერინარები, ან აღიარებული აკვაკულტურის საწარმოს და აღიარებული აკვაკულტურის საწარმოთა ჯგუფების შემთხვევაში, სახელმწიფო ვეტერინარები ან წყლის ცხოველების ჯანმრთელობის სახელმწიფო/ოფიციალური პროფესიონალები, ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნების შესამოწმებლად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგი ტიპის, სააგენტოს მიერ აღიარებულ, საწარმოებში:

ა) ინკუბატორში და საწარმოში, რომელიც ინახავს ფრინველს;

ბ) ჩლიქოსანი ცხოველებისა და ფრინველებისთვის შემკრები ოპერაციების განმახორციელებელ საწარმოში;

გ) ძაღლის, კატისა და ქრცვინის შემკრებ ცენტრში;

დ) ძაღლის, კატისა და ქრცვინის ცხოველთა თავშესაფარში;

ე) საკონტროლო პუნქტში;

ვ) გარემოსგან იზოლირებულ ბაზის მწარმოებელ საწარმოში;

ზ) აღიარებულ საკარანტინო საწარმოში;

თ) შემოფარგლულ საწარმოში;

ი) გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის აღიარებულ საწარმოში;

კ) აღიარებულ აკვაკულტურის საწარმოში;

ლ) აღიარებულ აკვაკულტურის საწარმოთა ჯგუფში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო კონტროლის დროს კონკრეტულად მოწმდება, რომ აღიარებულ საწარმოზე პასუხისმგებელი ბიზნესოპერატორის აგრძელებენ ამ საწარმოს აღიარებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო კონტროლი მოიცავს „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების“ მე-14 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ინსპექტირებას, რომელიც უნდა განხორციელდეს „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად ზოგიერთი სახელმწიფო კონტროლის მინიმალური სიხშირის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2023 წლის 24 ივლისის N275 დადგენილებით განსაზღვრული სიხშირის შესაბამისად.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირება შეიძლება გაერთიანდეს ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილთან:

ა) „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების“ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ სახელმწიფო კონტროლთან;

ბ) სხვა სახელმწიფო კონტროლთან „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად;

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სახელმწიფო კონტროლთან, ინსპექტირებასთან ან ვიზიტებთან.

მუხლი 4. სახელმწიფო კონტროლის სპეციფიკური წესები ხმელეთის ცხოველების შემოფარგლულ საწარმოში

1. ხმელეთის ცხოველების შემოფარგლულ საწარმოში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას, სახელმწიფო ვეტერინარმა:

ა) გადაადგილების ჩანაწერების შემოწმების გზით გადაამოწმოს, რომ ცხოველები მოცემულ შემოფარგლულ საწარმოში შემოდის მხოლოდ სხვა შემოფარგლული საწარმოდან ან დაექვემდებარენ კარანტინს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად;

ბ) დაადასტუროს, რომ შემოფარგლული საწარმოს ვეტერინარის მიერ ჩატარებული კლინიკური, ლაბორატორიული და დაკვლისშემდგომი გამოკვლევების შედეგები გამორიცხავს შეტყობინებას დაქვემდებარებულ ან ახალადმოცენებულ დაავადებებზე ეჭვს;

გ) დაადასტუროს, რომ თუ არსებობს შეტყობინებას დაქვემდებარებულ ან ახალადმოცენებულ დაავადებებზე ეჭვი, შემოფარგლული საწარმოზე პასუხისმგებელი ოპერატორი აკეთებს შეტყობინებას ამ ეჭვის შესახებ სააგენტოში და ამცირებს ასეთი დაავადებების გავრცელების პოტენციურ რისკებს შემოფარგლულ საწარმოში და მის ფარგლებს გარეთ;

დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით ჩამოთვლილი და ახლად აღმოცენებულ დაავადებებთან დაკავშირებით ზედამხედველობის გეგმის იმპლემენტაციისა და შედეგების აუდიტი და, კერძოდ, დაადასტუროს, რომ დაავადების ზედამხედველობის გეგმა განიხილება და ახლდება სულ მცირე ყოველწლიურად ამ მოთხოვნების შესაბამისად.

2. ხმელეთის ცხოველების შემოფარგლულ საწარმოში საკარანტინო, იზოლაციისა და ბიოსაფრთხობის ზომებთან დაკავშირებული მოთხოვნებია:

ა) დაიშვება მხოლოდ ხმელეთის შენახული ცხოველები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ საკარანტინო პერიოდს, რომელიც შეესაბამება ამ სახეობის დაავადებებს, როდესაც ეს ცხოველები შემოდინ სხვა საწარმოდან, გარდა შემოფარგლული საწარმოდან;

ბ) დაიშვება მხოლოდ პრიმატები, რომლებიც აკმაყოფილებენ ისეთივე მკაცრ წესებს, როგორცაა ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH), 2018 წლის გამოცემა, ხმელეთის ცხოველთა ჯანმრთელობის კოდექსის 6.12.4 მუხლი;

გ) საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სხვა საწარმოდან შემოყვანილი ხმელეთის ცხოველებისთვის ადეკვატური საკარანტინო სივრცე/ფართი.

მუხლი 5. სახელმწიფო კონტროლის სპეციფიკური წესები მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის ან თხის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადასტურებლად და შეუსაბამობის შემთხვევაში შემდგომი ღონისძიებების შესახებ

1. სახელმწიფო კონტროლი მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის ან თხის იდენტიფიკაციისა და აღრიცხვის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადასტურებლად უნდა მოიცავდეს „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების“ მე-14 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ინსპექტირებას იმ საწარმოში, რომელიც ინახავს ამ ცხოველებს და რომელიც განხორციელებულია სულ მცირე „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად ზოგიერთი სახელმწიფო კონტროლის მინიმალური სიხშირის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2023 წლის 24 ივლისის N275 დადგენილების მე-6 მუხლით განსაზღვრული სიხშირის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირება შეიძლება გაერთიანდეს ერთ-ერთ ქვემოთ განსაზღვრულთან:

ა) „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების“ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ სახელმწიფო კონტროლთან;

ბ) სხვა სახელმწიფო კონტროლთან „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად;

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სახელმწიფო კონტროლთან, ინსპექტირებასთან ან ვიზიტებთან.

3. შესამოწმებელი საწარმოს შერჩევასა და სააგენტომ „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან ერთად რისკების ანალიზში დამატებით უნდა გაითვალისწინოს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) საწარმოში ცხოველთა რაოდენობა;

ბ) საწარმოში არსებული და იდენტიფიცირებული ცხოველთა სახეობები;

გ) მნიშვნელოვანი ცვლილებები საწარმოში ცხოველთა რაოდენობასთან ან სახეობებთან შედარებით ბოლო 5 წლის განმავლობაში;

დ) კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი სხვა შესაბამისი კრიტერიუმი.

4. როდესაც ტარდება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირება, სააგენტომ უნდა შეამოწმოს ამ საწარმოში არსებული ყველა მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი და თხა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან ნაწილობრივი გადახვევით,, როდესაც საწარმოში შესამოწმებელი ცხოველის რაოდენობა აღემატება 20-ს, კომპეტენტურმა ორგანომ შეიძლება გადაწყვიტოს შეამოწმოს ამ ცხოველების წარმომადგენლობითი (რეპრეზენტატიული) რაოდენობა, თუ შემოწმებული ცხოველების რაოდენობა საკმარისია შემთხვევების 5%-ის გამოსავლენად 95%-იანი სანდოობით.

6. როდესაც ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირება ტარდება საწარმოში ცხოველთა რეპრეზენტატიულ რაოდენობაზე ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად და ეს ინსპექტირება ადასტურებს იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის მოთხოვნებთან შეუსრულებლობას, სააგენტომ უნდა შეამოწმებს ამ საწარმოში არსებული ყველა სხვა მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი და თხა.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან ნაწილობრივი გადახვევით , სააგენტომ შეიძლება გადაწყვიტოს ამ საწარმოში ცხოველთა წარმომადგენლობითი (რეპრეზენტატიული) რაოდენობის ინსპექტირება, რათა დარწმუნდეს, რომ შემოწმებული ცხოველების რაოდენობა საკმარისია 5%-ზე მეტი შეუსაბამობის შესაფასებლად, პლუს-მინუს 2%-ის სიზუსტით, 95%-იანი სანდოობით.

მუხლი 6. შემდგომი ღონისძიებები ზოგიერთი მსხვილფეხა საქონლის საქართველოს გავლით ტრანზიტის დროს შეუსრულებლობის შემთხვევაში

1. როდესაც მსხვილფეხა საქონლის ტვირთი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტს და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ჯანმრთელობის მოთხოვნებს ჩლიქოსანი ცხოველების ტვირთის მიმართ სიით განსაზღვრულ დაავადებებთან დაკავშირებით, სამსახურმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ცხოველების დაკვლის ან მოკვლისა და მათი, როგორც „ტექნიკური რეგლამენტის – „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის,

ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N605 დადგენილების მე-8 მუხლის „ვ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მე-2 კატეგორიის მასალის განკარგვის შესახებ, თუ საქართველოს შესვლის სასაზღვრო კონტროლის პუნქტსა და გასვლის სასაზღვრო კონტროლის პუნქტს შორის გადაადგილებისას (საიდანაც საქონელი ტოვებს საქართველოს ტერიტორიას), გამოვლინდება რაიმე შეუსაბამობა.

2. ცხოველის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის ტვირთის, რომელზეც ვრცელდება „საქართველოში ზოგიერთი ცხოველის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის ტვირთის შემოყვანის/შემოტანისა და შემოყვანის/შემოტანის შემდეგ გადაადგილებისა და ჰენდლინგის წესი“ და ამ წესის შესაბამისად არ არის წარმოშობილი, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის და განკუთვნილია საქართველოს გარე ტერიტორიისთვის, საქართველოს გავლით ტრანზიტი დაიშვება, თუ მათზე ვრცელდება საქართველოს მიერ სიით განსაზღვრული წარმოშობის ქვეყნისთვის, ტერიტორიისთვის ან მისი ზონისთვის და ზოგიერთი სახეობებისა და კატეგორიის ცხოველებისთვის, გასამრავლებელი (გენეტიკურ) მასალისთვის გადაადგილებასთან დაკავშირებული ცხოველთა ჯანმრთელობის პოტენციური რისკების შესამცირებლად მინიჭებული სპეციალური პირობები.

განმარტებითი ბარათი

„სპეციალური წესები კომპეტენტური ორგანოების მიერ ცხოველებზე, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე და გასამრავლებელ (გენეტიკურ) მასალაზე განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის შესახებ, კომპეტენტური ორგანოს მიერ განხორციელებული შემდგომი ღონისძიებები მსხვილფეხა საქონლის, ცხვრისა და თხის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან მსხვილფეხა საქონლის ქვეყანაში ტრანზიტით გავლისას გამოვლენილ შეუსაბამობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტი შემუშავებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ასევე პროექტის მომზადება განპირობებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება. შეთანხმების XI-B დანართი, რომელიც შესწორებულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2023 წლის 6 მარტის №1/2023 გადაწყვეტილებით, შეიცავს ევროკავშირის იმ საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს, რომლებთანაც უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის აპროქსიმაცია (SPS საკანონმდებლო ნუსხა) დაახლოების ვადების მითითებით. მათ შორის არის 2017 წლის 15 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2017/625 რეგულაცია, რომელიც განხორციელდა სურსათის და ცხოველთა საკვების შესახებ კანონის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის წესების, მცენარეთა ჯანმრთელობისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების უზრუნველსაყოფი ოფიციალური კონტროლის და სხვა ოფიციალური აქტივობების შესახებ, შეაქვს ცვლილებები ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №999/2001, (EC) №396/2005, (EC) №1069/2009, (EC) №1107/2009, (EU) №1151/2012, (EU) №652/2014, (EU) 2016/429 და (EU) 2016/2031 რეგულაციებში, საბჭოს (EC) №1/2005 და (EC) №1099/2009 რეგულაციებში და საბჭოს 98/58/EC, 1999/74/EC, 2007/43/EC, 2008/119/EC და 2008/120/EC დირექტივებში და აუქმებს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №854/2004 და (EC) №882/2004 რეგულაციებს, საბჭოს 89/608/EEC, 89/662/EEC, 90/425/EEC, 91/496/EEC (I), 96/23/EC, 96/93/EC და 97/78/EC დირექტივებს და საბჭოს 92/438/EEC გადაწყვეტილებას (ოფიციალური კონტროლის რეგულაცია, OCR).

პროექტი ითვალისწინებს სპეციალური წესების დამტკიცებას კომპეტენტური ორგანოების მიერ ცხოველებზე, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე და გასამრავლებელ (გენეტიკურ) მასალაზე განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის შესახებ, კომპეტენტური ორგანოს მიერ განხორციელებული შემდგომი ღონისძიებები მსხვილფეხა საქონლის, ცხვრისა და თხის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან მსხვილფეხა საქონლის ქვეყანაში ტრანზიტით გავლისას გამოვლენილ შეუსაბამობაზე.

პროექტით განისაზღვრება ცხოველებთან, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებთან და გასამრავლებელ (გენეტიკურ) მასალებთან დაკავშირებით სახელმწიფო კონტროლის ზოგიერთ სპეციფიკურ წესი, რათა კომპეტენტურმა ორგანომ შეამოწმოს შესაბამისობა „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების“ თანახმად.

პროექტით ასევე განისაზღვრება სსიპ - შემოსავლების სამსახურის (შემდგომში - სამსახური) მიერ განსახორციელებელი კონკრეტულ ღონისძიებები ტრანზიტში მყოფ მსხვილფეხა საქონელთან დაკავშირებით სახელმწიფო კონტროლის შემდეგ. შესაბამისად, წესით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს ახორციელებენ სამსახური -კომპეტენციის ფარგლებში და სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო.

პროექტის თანახმად, სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება ზოგიერთ აღიარებულ საწარმოში, რომელიც განსაზღვრულია „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესებით“; ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო კონტროლი მოიცავს „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების“ მე-14 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ინსპექტირებას, რომელიც უნდა განხორციელდეს „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად ზოგიერთი სახელმწიფო კონტროლის მინიმალური სიხშირის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2023 წლის 24 ივლისის N275 დადგენილებით განსაზღვრული სიხშირის შესაბამისად.

პროექტის მე-4 მუხლი ადგენს ხმელეთის ცხოველების შემოფარგლულ საწარმოში სახელმწიფო კონტროლის სპეციფიკური წესებს, რაც გულისხმობს სახელმწიფო ვეტერინარის უფლებამოსილებებსა და ამ საწარმოებში საკარანტინო, იზოლაციისა და ბიოუსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

პროექტის მე-5 მუხლი ადგენს სახელმწიფო კონტროლის სპეციფიკურ წესებს მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის ან თხის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადასტურებლად და შეუსაბამობის შემთხვევაში შემდგომი ღონისძიებების შესახებ, რაც მოიცავს „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების“ მე-14 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ინსპექტირებას იმ საწარმოში, რომელიც ინახავს ამ ცხოველებს

და რომელიც განხორციელებულია სულ მცირე „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად ზოგიერთი სახელმწიფო კონტროლის მინიმალური სიხშირის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2023 წლის 24 ივლისის N275 დადგენილების მე-6 მუხლით განსაზღვრული სიხშირის შესაბამისად. ასევე, განსაზღვრულია შესაბამისი კრიტერიუმები შესამოწმებელი საწარმოს შერჩევითის და ამ კრიტერიუმებთან ერთად რისკების ანალიზში დამატებით გასათვალისწინებელი კრიტერიუმები.

პროექტის მე-6 მუხლი ადგენს შემოსავლების სამსახურის მიერ განსახორციელებს ღონისძიებებს ზოგიერთი მსხვილფეხა საქონლის საქართველოს გავლით ტრანზიტის დროს შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტის 2017 წლის 15 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2017/625 რეგულაციის საფუძველზე, რომელიც განხორციელდა სურსათის და ცხოველთა საკვების შესახებ კანონის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის წესების, მცენარეთა ჯანმრთელობისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების უზრუნველსაყოფი ოფიციალური კონტროლის და სხვა ოფიციალური აქტივობების შესახებ, შეაქვს ცვლილებები ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №999/2001, (EC) №396/2005, (EC) №1069/2009, (EC) №1107/2009, (EU) №1151/2012, (EU) №652/2014, (EU) 2016/429 და (EU) 2016/2031 რეგულაციებში, საბჭოს (EC) №1/2005 და (EC) №1099/2009 რეგულაციებში და საბჭოს 98/58/EC, 1999/74/EC, 2007/43/EC, 2008/119/EC და 2008/120/EC დირექტივებში და აუქმებს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №854/2004 და (EC) №882/2004 რეგულაციებს, საბჭოს 89/608/EEC, 89/662/EEC, 90/425/EEC, 91/496/EEC (I), 96/23/EC, 96/93/EC და 97/78/EC დირექტივებს და საბჭოს 92/438/EEC გადაწყვეტილებას (ოფიციალური კონტროლის რეგულაცია, OCR).

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს გავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღება ხელს შეუწყობს ცხოველებთან, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებთან და გასამარავლებელ (გენეტიკურ) მასალებთან დაკავშირებით სახელმწიფო კონტროლის სპეციფიკურ წესების დანერგვას, რათა მოხდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესაბამისობის შემოწმება „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებთან და, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებელ ღონისძიებების გატარება.

პროექტის განხორციელების ვადები

ამოქმედდება ამოქმედდება ...

ამასთან, ზემოაღნიშნული XI-B დანართის მიზნებისთვის, მითითებული ვადები უკავშირდება კანონმდებლობის დამტკიცებას (დაახლოვება), ხოლო მისი ამოქმედების (იმპლემენტაციის) საკითხი დამოკიდებულია ქვეყნის და კერძო სექტორის მზად ყოფნაზე. თავად შეთანხმების XI-A დანართი ახდენს აღნიშნული ტერმინების (დაახლოვება/იმპლემენტაცია) გამიჯვნას ერთმანეთისგან. კერძოდ, აღნიშნული დანართის მიხედვით, ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ დაახლოვება გულისხმობს კანონმდებლობის იმპლემენტაციასაც და ის ვადები, რომლებიც მოცემულია XI-B დანართში უკავშირდება კანონმდებლობის იმპლემენტაციას, გაურკვეველია ამავე შეთანხმების ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის სამართლებრივი დატვირთვა (დაახლოვებული კანონმდებლობის იმპლემენტაცია).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული SPS ქვეკომიტეტის შეხვედრებზე, რომლის ფარგლებშიც საქართველო ახდენს ევროკომისიისთვის ანგარიშის წარდგენას კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით, ყოველთვის ვაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე თუ როდის მოხდება დაახლოვებული კანონმდებლობის ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია ადასტურებდა საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, კანონმდებლობის დაახლოვება SPS სფეროში იყო ერთ-ერთი საფუძველი საბიუჯეტო დახმარებისთვის, დღემდე ამ კომპონენტის შეუსრულებლობის გამო რაიმე შეფერხება არ ყოფილა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ თავად ევროკავშირის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების დამტკიცების შემდეგ ხდება გარდამავალი პერიოდის დაწესება, რათა კერძო სექტორმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მოასწორონ მომზადება ახალი მოთხოვნების შესრულებისთვის.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.